შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№35 (9.649)

20-27 სექტემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ახალი სასწავლო წელი – ახალი იმედით



ახალი სასწავლო წელი დედოფლისწყაროს სკოლებშიც დაიწყო. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ცნობით, მუნიციპალიტეტში 220 პირველკლასელია რეგისტრირებული.

პირველკლასელებს გადაეცათ ბუკები და ახალი სახელმძღვანელოები. როგორც მშობლები და პედაგოგები აღნიშნავენ, ახალი ბუკები გაცილებით კარგი ხარისხისაა.

საზეიმო ცერემონიას ქალაქ დედოფლისწყაროს და მეზობელი სოფლების საჯარო სკოლებში დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ბახუტაშვილი და გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი ესწრებოდნენ. დანარჩენ სოფლებში კი ცერემონიას საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და სხვა დეპუტატები დაესწრნენ.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში 56 პირველკლასელი შევიდა, №2 საჯარო სკოლაში 9; ხორნაბუჯის სკოლაში 24, ხამრეკლოში კი 14 მოსწავლე.

№1 საჯარო სკოლის პირველი კლასის დამრიგებლები ნელი შოშიაშვილი და მარინე ინასარიძე იქნებიან, ხორნაბუჯის სკოლაში , სამრეკლოელი პირველკლასელების დამრიგებელი მარინა ლაპიაშვილი.

2014-15 სასწავლო წლისთვის ორი პირველი კლასი გაიხსნა დედოფლისწყაროს №1 და ხორნაბუჯის საჯარო სკოლებში.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში რუსული სექტორი გაიხსნა. როგორც სკოლის დირექტორმა ლალი მენთეშაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, წელს რუსულ სექტორზე ასზე მეტი მოზარდი ისწავლის.

„რუსულ სექტორზე ახალ სასწავლო წელს 101 მოსწავლეა რეგისტრირებული, აქედან რუსულ განყოფილებაში 10 პირველკლასელი მოხვდა. ზოგადად, რუსულ სექტორზე ნაკადი შედარებით შემცირებულია, მაგრამ მსურველები მაინც არიან. სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. სკოლაში სულ 355 მოსწავლეა. ხორნაბუჯის სკოლა ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთადერთი ორ სექტორიანი სკოლაა, მრავალეთნიკური შემადგენლობით და ძალიან ტოლერანტული დამოკიდებულებით. ვცდილობთ სხვადასხვა ეროვნების ბავშვები დავამეგობროთ და ერთმანეთი უყვარდეთ,“ — აღნიშნავს სკოლის დირექტორი.

რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში რუსულენოვანი პირველი კლასი გასულ წელს გაიხსნა.

შეგახსენებთ, გასულ წელს, აგვისტოში ხორნაბუჯის სკოლის რუსულენოვანმა პედაგოგებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათი თქმით, რუსულ სექტორზე დასაქმებული 30-მდე პედაგოგის ბედი გაურკვეველი იყო და სექტორის დახურვას ფინანსების დაზოგვის მოტივით აპირებდნენ. იმხანად, სკოლის დირექტორი აღნიშნავდა, რომ საჭირო ოდენობის მსურველი არ იყო. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში კი განმარტავდნენ, რომ ხორნაბუჯის სკოლა დეფიციტური იყო და ფინანსების დაზოგვის პრობლემა დღის წესრიგში ამიტომ დგება.

„შეძლებისდაგვარად, რამდენიმე სკოლას ვეწვიეთ და საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა მივიღეთ. ვნახეთ, რომ ინფრასტრუქტურა გამართულია და ბავშვებს ყველა საშუალება აქვთ იმისათვის, რომ განათლება მიიღონ. №1 საჯარო სკოლა ჩემთვის მშობლიური სკოლაა - 1989 წელს ყვავილებით ხელში შევაბიჯე და ძალიან კარგად მახსოვს თუ რა განწყობა იყო. მინდა, რომ თითეულმა ბავშვმა და მშობელმა გაითვალისწინონ: ჩვენი მომავალი მხოლოდ განათლებაა, ჩვენი გადარჩენა არის ნიჭიერი თაობა. განათლებული ადამიანი არსად არ დაიკარგება, განათლებულ ადამიანს არასოდეს არ გაუჭირდება და ყოველთვის მყარად იდგება ფეხზე. ამიტომ მშობლებო, დაუდეგით თქვენს შვილებს გვერდით, ასწავლეთ, რათა გახდნენ წარმატებულები. მრავლად გვაქვს მაგალითები, რომ დედოფლისწყაროში დიდი პოტენციალია. მითუმეტეს იმ სკოლის კედლებში, რომელმაც ჩვენი ქვეყნის პრემიერ მინისტრი და არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა. თითეული ბავშვისთვის ეს უნდა იყოს დიდი სტიმული. გილოცავთ დღევანდელ დღეს, გისურვებთ წარმატებას” - აღნიშნა თავის მიმართვაში დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

მეღვინეობის განვითარება-ქვეყნის პრიორიტეტი

წელს დამატებით 4 ათას ჰექტარზე მეტი ახალი ვენახი გაშენდა, რაც იმის დასტურია, რომ მეღვინეობის განვითარება ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა კარდენახელ მევენახე სოსო ტურიაშვილის ოჯახში სტუმრობისას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სოფელ კარდენახში მცხოვრებ სოსო ტურიაშვილის ოჯახს ეწვია და ინფორმაცია რთველის მიმდინარეობის შესახებ ოჯახის უფროსისგან მიიღო.

პრემიერის თქმით, მეღვინეობის განვითარება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის აღორძინებას, რაც ფეხზე დაყენებს ქართულ სოფელს, ქართველ გლეხს, გაზრდის ხალხის შემოსავალს, კეთილდღეობას და საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის წინსვლას.

სოსო ტურიაშვილის განცხადებით, მის ოჯახს ნახევარ ჰექტარზე გაშენებული ვენახი გააჩნია და წელს 4 ტონამდე ყურძენი ჩააბარა. მევენახემ კმაყოფილება გამოთქვა ყურძნის ფასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გასულ წელს ერთი კილოგრამი საფერავი ერთ ლარად ჩააბარა, წელს კი - 1,50 ლარად.

პრემიერის განმარტებით, შარშანდელი რთველის შედეგად კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ღვინის კომპანიებმა ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე ბევრი - 92 ათას ტონაზე მეტი ყურძენი გადაამუშავეს.

“ეს არის რეკორდული მაჩვენებელი და ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ ამით,”-აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაური იმ დღესვე ღვინის ქარხანა „გრუზვინპრომ“-ს ესტუმრა და კომპანიის საქმიანობით დაინტერესდა. პრემიერი ყურძნის გადამუშავების პროცესს დაესწრო და ქარხნის ლაბორატორია მოინახულა, სადაც ღვინის სრული ანალიზი ტარდება.

პრემიერმა 460 ყურძნის ჯიშისგან დამზადებული ღვინო

(გაგრძელება გვ.3)

სტაბილური ელექტროენერგია - აქილევსის ქუსლი

გვ. 4

უპრეცედენტო სიახლე №1 საჯარო სკოლაში

გვ. 2

გამგებელი სოფლის პრობლემებს გაეცნო

გვ. 3

„დედოფლისწყაროს საათი“ 1 წლისაა

გვ. 5

მთავრობამ უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების ახალი წესები დაამტკიცა

მთავრობამ უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების ახალი წესები დაამტკიცა. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხოელ ფიზიკურ პირზე, ან უცხოურ კომპანიაზე, თუნდაც ის საქართველოში იყოს დაფუძნებული, ვერ მოხდება საქართველოს საზღვრის მიმდებარე ხუთკილომეტრიან ზოლსა და მთავრობის მიერ დადგენილ შესაბამის ზონაში. მათ უფლება ექნებათ შეისყიდონ მიწა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მინიმუმ 5 ჰექტარი და მაქსიმუმ 100 ჰექტარი.

„სასაზღვრო ზოლსა და ამგვარ ზონებში ვერერთი ფიზიკური პირი, ან უცხოური კომპანია სასოფლო სამეურნეო მიწას ვერ შეისყიდეს. სამაგიეროდ, უცხოელი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღებს სასოფლო მიწას, შეიძლება გახდეს ამ მიწის მესაკუთრე. ეს ბევრ ჩვენ თანამემამულეს, რომელმაც დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და დღეს უცხოელად ითვლება, საშუალებას მისცემს მისი წინაპრების მიერ მემკვიდრეობით დატოვებული სასოფლო-სამეურნეო მიწები მიიღონ საკუთრებაში“, - განაცხადა წულუკიანმა.

წულუკიანის განმარტებით, უცხოელებს შეეძლებათ სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეები გახდნენ საქართველოში, თუკი მათ ექნებათ საქართველოს ტერიტორიაზე აგრარულ სექტორში ხუთწლიანი გამოცდილება; ხოლო უცხოელი ფიზიკური პირის შემთხვევაში, მას ასევე უნდა ჰქონდეს მუდმივი ბინადრობის უფლება საქართველოში, ან საინვესტიციო ბინადრობის უფლება.

როგორც წულუკიანმა აღნიშნა, ამ საკითხში ძლიერდება, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლი, ასევე შემოდის და ძლიერდება ნოტარიუსის როლი, რომელიც კერძო პირებს შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებით ტრანზაქციებზე დამოწმებას განახორციელებს.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ბრუცელოზზე სადიაგნოსტიკო გამოკვლევა დაიწყო

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ბრუცელოზზე მსხვილფეხა პირუტყვის სისხლის ნიმუშების აღება დაიწყო. კახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და აჭარის რეგიონებსა და თბილისში დაგეგმილია 172 324 სული მსხვილფეხა პირუტყვის სისხლის ნიმუშების აღება.

სისხლის გამოკვლევის პარალელურად, სურსათის ეროვნული სააგენტო აწარმოებს ცხოველების საყურე ნიშნებით მონიშვნას. მათი ინფორმაციით, დაავადების პრევენციის მიზნით, უახლოეს მომავალში დაიგეგმება ცხოველებში ბრუცელოზის პროფილაქტიკური ვაქცინაცია. აღნიშნული ღონისძიებები მოსახლეობისთვის უფასოა.

ბრუცელოზი ცხოველისა და ადამიანის საერთო, ძალიან საშიში ინფექციური დაავადებაა, რომელიც იწვევს მაღალი ჯგუფის ინვალიდობას. დაავადება განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს ბავშვებსა და ხანდაზმულებში. დაავადებული ცხოველები და მათი პროდუქტები ინფექციის გავრცელების წყაროა, ამდენად, ინფიცირებული ცხოველის დროული გამოვლენა საუკეთესო პრევენციაა.

23 წლამდე ახალგაზრდებს იარაღის შეძენა ეკრძალებათ

საქართველოს მთავრობამ იარაღის შესახებ კანონში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დაამტკიცა. ცვლილების თანახმად, იარაღზე წვდომის წესები მკაცრდება.

ნებართვის შემთხვევში, დღეს 18 წლიდან ადამიანს შეუძლია შეიძინოს, შეინახოს და ატაროს იარაღი, ახალი ცვლილებებით კი, იმ პირს, ვინც ითხოვს ნებართვას იარაღის შეძენაზე, შენახვაზე ან ტარებაზე, აუცილებლად უნდა იყოს 23 წელს მიღწეული.

დავასუფთაოთ მსოფლიო! დავასუფთაოთ საქართველო

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯამთელობის გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. სახელმწიფო ახლანდელიდა მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით რაციონალურ სარგებლობას..

ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა, მაგრამ.. რამდენიც არ უნდა მოინდომოს სახელმწიფომ, თუ თვითოეული ჩვენთაგანი არ გავითყავისებთ პრობლემას და არ გავხდებით პასუხისმგებელი ყოველ დაგდებულ, თუნდაც სულ პატარა ქაღალდის ნაგლეჯის მიმართ, დავრჩებით დანაგვიანებული ქვეყნის ამარა და ეს ნამდვილად არ იქნება საამაყო.

გახსოვდეთ! რომ დაბინძურებული გარემო საშიშროებას უქმნის ადამიანის ჯამთელობას. ნუ დააყენებთ რისკის ქვეშ თქვენი ახლობლების მომავალს!

რა უნდა ვიცოდეთ: ადამიანის ჯამთელობისათვის რისკის შემცველ გარემო ფაქტორებს მიეკუთყვნრბა: ქიმიური და ბიოლოგიური რეასგენტებით დაბინძურებული ჰაერი, წყალი და ნიადაგი;

დაბინძურებული წყლით გამოწვეული დაავადებებია ქოლერა, ტიფი, კანის და თვალის ინფექციური დაავადებები, მალარია, სხვადასხვა პარაზიტებით გამოწვეული კუჭ-ნაჭლავის დაავადებები (დიზენტერია, ენტეროკოლიტი, გასტრიტით, გასტროენტერიტი,) ჰერმოგაიული სიყვითლე, ენცეფალიტი, პოლიომიტი, ჰეპატიტი, სალმონელოზი და სხვა.

დაბინძურებული ჰაერით გამოწვეული დაავადებებია: ასთმა, ფილტვების ანთება, ტუბერკულოზი და ფილტვის სხვა დაავადებები, ფილტვის კიბო, წითელა, სხვადასხვა იმუნური და ალერგიული დაავადებები. ასევე, გულის სხვადასხვა დაავადებები, მათ შორის გულის შეტევა და ინსულტი.

ნიადაგის დაბინძურებას ძირითადად იწვევს ნიტრატების და პესტიციდების არასწორი და გადამეტებული მოხმარება. ეს ნივთიერებები ნეიროტოქსიკურობით, კარცეროგენულობით, იმუნოტოქსიკურობითა და ენდოკრინულ სისტემაზე ტოქსიკური ზემოქმედებით ხასიათდებიან და ბინებაში ხანგრძლივი დაბინძირების ეფექტით გამოირჩევიან.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ნარჩენების შესამცირებლად თითოეულმა ჩვენთაგანმა?

* ყოველი ყიდვის დროს თან ვიქონიოთ ნაჭრის ჩანთა, რათა თავიდან ავიცილოთ პოლიეთილენის პარკების გამოყენება (დაშლის პერიოდი 200-1000წელი);

*უპირატესობა მივანიჭოთ მინის ჭურჭელში ჩამოსხმულ სასმელებს. ნაკლებად შევიძინოთ პლასტმასის ბოთლებში და ალუმინის ქილებში ჩამოსხმული სასმელები (დაშლის პერიოდი 450 და 200-500 წელი).

*შევეცადოთ, ყიდვისას უპირატესობა მივანიჭოთ რეციკლირებად (ანუ გადამუშავებას დაქვემდებარებულ პროდუქტებს); არ დავტოვოთ ჩვენს შემდეგ დანაგვიანებული გარემო და ნუ ჩაყრით მდინარეებში და წყალსაცავებში საყოფაცხოვრებო ნაგავს.

ეს არცთუისე ძნელია..

მოკლედ: მოვიქცეთ ისე, რგორც ეკადრება ცივილიზებულ და თავის ქვეყანაზე შეყვარებულ ადამიანს 19,20,21 სექტემბერი გამოცხადებული მსოფლიო დასუფთავების დღედ. პროექტს „დავასუფთაოთ საქართველო- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვამყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში ახორციელებს არასამთავრობო ორგანოზაციის მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები- საქართველო გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური უზრუნველყოფით.

გავერთიანდით ერთი მიზნის გარშემო!

ერთად დავასუფთაოთ: ჩვენი ეზო.. ჩვენი ქუჩა

ჩვენი ქალაქი.....

შევუნარჩუნოთ შვილების ჯანსაღი გარემო და უზრუნველყოთ მათი მომავალი!

ა/ო მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრობი -

საქართველოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კოორდინატორი, თავჯდომარე

ირმა როგიტაშვილი

„... დღე როცა ვერ მოკლეს ილია“

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს - 12 სექტემბერს, გაიმართა საჯარო მსვლელობა ეგიდით „... დღე როცა ვერ მოკლეს ილია“.

ეს პროექტი პირველად განხორციელდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ალიბეგაშვილის თაოსნობით, ორგანიზატორი გახლდათ, ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი“ პროექტის ოფიციალური მხარდამჭერი - საქართველოს საპატრიარქო.

საყოველთაო მსვლელობაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც თბილისის, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, მათ შორის სპეციალური მოწვევით საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის წევრები - საპატიო თავმჯდომარის, ვანო ნატროშვილის პატრონაჟით.

ღონისძიების გახსნის ცერემონია გაიმართა საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. დამსწრე საზოგადოების წინაშე შთამბეჭდავი სიტყვით გამოვიდნენ: თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, დეკანოზი ტარიელი, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობლის პირველი მოადგილე ბადრი მამუჩაშვილი, გამოჩენილი მკვლევარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე როსტომ ჩხეიძე, პოეტი თემურ ჩალაბაშვილი და სხვები.

ღია ცის ქვეშ გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია რკინის თეატრის ახალგაზრდა მსახიობების მონაწილეობით, ოთარ ჭილაძის პროზაული ნაწარმოების მიხედვით.

ღონისძიების მონაწილეებმა წიწამურთან გადაინაცვლეს იქ, სადაც 1907 წელს ვერაგულად მოკლეს ილია ჭავჭავაძე. აქ მობრძანდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და ლოცვა აღავლინა.

ავტობუსებისა და მსუბუქი ავტომობილების კორტეჟმა გეზი თბილისისკენ აიღო და მარჯანიშვილის მოედანზე შეკრებილი ზღვა ხალხი ფეხით გაემართა ილიას მემორიალურ მუზეუმში (ჩუბინაშვილის ქუჩა №22), სადაც ილიამ ბოლო ღამე გაატარა. ცნობილმა მსახიობებმა მარლენ ეგუტიამ, ლამზირა ჩხეიძემ, ლია კაპანაძემ და სხვებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან. ღონისძიების მონაწილეები დაესწრნენ სიონის ტაძარში პარაკლისს, რომელიც ილიას სახელზე გადაიხადეს. ღონისძიება დასრულდა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში თეატრალიზებული კომპოზიციით.

როგორც გიორგი ალიბეგაშვილმა აღნიშნა, ყოველწლიურად ,12 სექტემბერს, უფრო ფართო მასშტაბით აღინიშნება ქართველთა უგვირგვინო მეფის, წმინდა ილია მართლის დღე.

ნანა ჭიჭინაძე

უპრეცედენტო სიახლე №1 საჯარო სკოლაში

2014 წლის 1 ოქტომბრიდან N1 საჯარო სკოლის მესამეკლასელები ფრანგული ენის შესწავლას დაიწყებენ. პროგრამა ხორციელდება საფრანგეთის საელჩოს დაფინანსებით და ითვალისწინებს მესამედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით ფრანგული ენის უფასო სწავლებას. ფრანგული ენა მესამე უცხო ენის სახით ასევე დაემატა ამავე სკოლის მეათე კლასს და მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, სამი წლის განმავლობაში შეისწავლონ მათთვის ახალი უცხო ენა. N1 საჯარო სკოლაში ფრანგული ენის მასწავლებლად მოწვეულია სოფ. არბოშიკში ყველასთვის კარგად ცნობილი პედაგოგი, ფრანგული ენის სპეციალისტი ქ-ნი ნინო ბეროშვილი.

ახალი სასწავლო წლის დაწყებისას ეს სიახლე მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის მეტად სასიხარულო იყო. იმედია, ჩვენი მოსწავლეები გაამართლებენ როგორც საფრანგეთის საელჩოს, ისე სკოლის დირექციის, პედაგოგების და მშობლების იმედს, შემოთავაზებულ პრიორიტეტს სათანადოდ დააფასებენ და ინგლისური ენის პარალელურად, წარმატებით შეისწავლიან ფრანგულ ენას.

ელზა ხარაშვილი

„მინდა, დედოფლისწყაროში მუდმივი დღესასწაული იყოს“...

მინი დოსიე: ნონა მიხეილის ასული ჯიბღაშვილი დაიბადა 1962 წლის 22 თებერვალს ქ. წითელწყაროში, წარჩინებით დაამთავრა წითელწყაროს N1 საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა სკოლაში, დიდხანს მუშაობდა თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში... 16 წელია მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და აქტიურადაა ჩართული ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ბოლო ხუთი წლის მანძილზე კულტურისა და სპორტის ცენტრის მთავარი სპეციალისტისა და დირექტორის მოადგილის პოსტს იკავებდა. ის გახლავთ საბავშვო სტუდია „არლეკინოს“ დამფუძნებელი, სადაც უამრავი თაობა აღიზარდა. თვითონაც საოცრად კომუნიკაბელური და ხალისით აღსავსე ადამიანია, ამიტომაც უყვართ ის მის აღზრდილებსა თუ აღსაზრდელებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს- ნონა ჯიბღაშვილი. წინა ხელმძღვანელის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ეს პოსტი ვაკანტური დიდხანს რჩებოდა, რამაც საზოგადოებაში არაერთი კითხვა გააჩინა. ჩვენ ნონა ჯიბღაშვილს ვესაუბრებით:

- ქალბატონო ნონა, კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე თქვენს დანიშვნამდე ვრცელდებოდა უამრავი ინფორმაცია,ზოგი კულუარული, ზოგი-გადაუმოწმებელი... გაჭიანურების ერთ-ერთ მიზეზად კი ზოგიერთი თანამშრომლისთვის თქვენი კანდიდატურის მიუღებლობა სახელდებოდა. რას იტყვით ამის თაობაზე?

-ბუნებრივია, ნებისმიერი კანდიდატურა ყველასთვის მისაღები ვერ იქნებოდა, თუმცა, გაჭიანურების მიზეზად მე უფრო იმ ფაქტორს დავასახელებდი, რომ რაიონის ხელმძღვანელობა ფიქრობდა, არჩევანში არ შემცდარიყო... მე ამ სამსახურში, წლებია, ვმუშაობ, აქაა პროფესიონალთა გუნდი, მათ იციან ჩემი ბობოქარი ბუნება და, ვინც მზადაა ამ რეჟიმში იმუშაოს, სიხარულით შეხვდა ხელმძღვანელის რანგში ჩემს მოსვლას.

- თუ გეგმავთ სტრუქტურულ ან საკადრო ცვლილებებს?

- ჩვენი სამსახური უახლოეს მომავალში ორად იყოფა-სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდება და ეს, თავისთავად, სამსახურის სრულ რეორგანიზაციას გულისხმობს, რაც გამოიხატება, როგორც საბიუჯეტო, ასევე საკადრო ცვლილებებშიც.

- როგორია თქვენი, როგორც ახალი ხელმძღვანელის სამოქმედო გეგმა- პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი?

- რაც შეეხება პირადად ჩემს დამოკიდებულებას, ვიცი, დღე და ღამე არ დავიძინებ, რომ ჩემი ენერგია და შესაძლებლობები ბოლომდე გამოვიყენო . უპირველეს ყოვლისა, მინდა, რომ სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო შევქმნა.

პროგრამა მინიმუმი გახლავთ-ყველა თანამშრომელს უხაროდეს სამსახურში მოსვლა , პროგრამა მაქსიმუმი კი დედოფლისწყაროში მუდმივი დღესასწაულის შექმნაა.

ინგა შიოლაშვილი

მეღვინეობის განვითარება-ქვეყნის პრიორიტეტი

(პირველი გვერდიდან)

ჟურნალისტებთან ერთად დააგემოვნა.

ქარხნის დირექტორის, დავით თოფურიძის განმარტებით, კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს, როგორც ღვინისა და საბრენდე სპირტის წარმოება, ასევე ყურძნის კონცენტრატის დამზადება წარმოადგენს. კომპანია ყურძენს კახეთის მოსახლეობისგან შეისყიდის. საწარმოში ფუნქციონირებს იტალიური წარმოების DELLA TOFFOLA-ს ფირმის ყურძნის მიღება-გადამუშავების ხაზი.

როგორც ქარხანაში სტუმრობისას პრემიერმა განაცხადა, სუბსიდირებისა და აგროსესხების თვისობრივად განსხვავებული სისტემის გატარებით, სახელმწიფო სტიმულს აძლევს კერძო სექტორს — მიიღონ და გადაამუშაონ უფრო მეტი ოდენობის ყურძენი, რაც ფერმერებსა და ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ბიზნესის განვითარებისა და ვენახების გაფართოების საშუალებას აძლევს.

“რაც მთავარია, დღეს ჩვენ გვაქვს გასაღების ბაზარი. ჩვენი მთავრობის აქტიური მუშაობის შედეგია, რომ ქართული ღვინო დაბრუნდა რუსეთის ბაზარზე. 2013 წელს ღვინის ექსპორტმა სულ 46,7მლნ ბოთლი შეადგინა, და ეს ციფრი ორჯერ აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. მინდა გითხრათ, რომ ზრდის ტენდენცია გრძელდება,”-აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

2014 წლის 17 სექტემბრის მონაცემებით, ღვინის ქარხნების მიერ ინდუსტრიულად გადამუშავებულია 50 ათას ტონამდე ყურძენი. ამ ეტაპისთვის, მევენახეების მიერ მიღებულმა შემოსავალმა უკვე 50მლნ. ლარს გადააჭარბა. კახეთის რეგიონში ყურძნის მიღება-გადამუშავებას სულ 75 საწარმო ახორციელებს.

დედოფლისწყაროელი ყურძნის მწარმოებლებიც წლევანდელი რთველით კმაყოფილები არიან. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინფორმაციით, წელს დედოფლისწყაროში რთველმა პრობლემების გარეშე ჩაიარა. ყურძნის ფასით ყველა მევენახე კმაყოფილი იყო. საფერავის ფასმა წელს რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. არცერთი მტევანი, მათ შორის დაზიანებულიც, გლეხებს ჩაუბარებელი არ დარჩენია.

გამგებელი სოფლის პრობლემებს გაეცნო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მის მოადგილესთან სოლომონ ღორაშვილთან ერთად, სოფელ სამრეკლოში ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა. კერძოდ, ახლად დაგებული გზა მოინახულა, რომელიც სკოლის მიმდებარედაა და მოსწავლეების სკოლამდე მისვლის მრავალწლიან პრობლემას მთლიანად აღმოფხვრის.

გამგებელი ასევე სოფლის მცხოვრებლებს შეხვდა, ადგილზე გაეცნო მათთვის მტკივნეულ საკითხებს და დასახეს გადაჭრის გზები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მისმა მოადგილემ სოლომონ ღორაშვილმა, სოფელ ზემო მაჩხაანში მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს. მშენებლობა ცენტრალური ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის სახსრებით მიმდინარეობს, რომლის ღირებულება 800 ათას ლარს აჭარბებს, ხოლო სამუშაოებს კომპანია შ.პ.ს ”სანი-ძ” ახორციელებს. აღნიშნული პროექტი ნოემბრის ბოლოს დასრულდება და საბოლოოდ მოხსნის სოფელ ზემო მაჩხაანის წყლის პრობლემას, რომელიც მოსახლეობას მრავალი წელია აწუხებს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოსახლეობასაც შეხვდადა ადგილზე გაეცნენ მათ პრობლემებს.

გამგებელმა სოფელ არბოშიკშიც მოინახულა სასმელი წყლის რეზერუარი, სადაც წყლის ტუმბო დაზიანდა. გამგებელი მოსახლეობას მის მოგვარებას უახლოეს დღეებში დაპირდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, სოფელ გამარჯვებაში ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა. გამარჯვებაში სოფლის განვითარების პროგრამით და და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ახალი მინი სტადიონი გაკეთდა, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებს როგორც ფეხბურთის, ასევე კალათბურთის თამაში შეეძლებათ.

გამგებელმა ასევე მოინახულა სოფელ გამარჯვებაში მშენებარე საქონლის სასაკლაო, ე.წ ბოინი და ხორცის გადამამუშავებელი საამქრო, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყებს მუშაობას.

სტაბილური ელექტროენერგია - აქილევსის ქუსლი

ჩვენი რაიონის მოსახლეობის უწყვეტი ენერგომომარაგება კვლავ პრობლემად რჩება. ობიექტური თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ელექტროენერგიის მიწოდების საკითხი ჯერ კიდევ ვერ მივიდა იმ ნიშნულამდე, რომ ხშირი გათიშვები წარსულს ჩაბარდეს. აღნიშნულ გარემოებებსაც თავისი მიზეზები აქვს, ამორტიზებული, საშინელი და ობობას ქსელივით ჩახლართული ხაზები ხარვეზებს ქმნის და სარემონტო სამუშაოები გარდაუვალია. ენერგოდისტრიბუციის მუშაკების ხანგრძლივმა მუშაობამ და შეკეთებებმა, მცირე სხვაობით, მაგრამ მაინც თავისი შედეგი გამოიღო, თუმცა არა საბოლოოდ. მართალია, ამჯერად რაიონის ელექტრომომარაგება შედარებით გამოსწორდა, მაგრამ მოსახლეობას მაინც აქვს პრეტენზიები დენის ხარისხთან დაკავშირებით. ისინი აცხადებენ, რომ არასტაბილური ელექტროენერგია მიეწოდებათ, რომელიც მათ საოჯახო ტექნიკაზე არასასურველ გავლენას ახდენს.

– „დენის მიწოდების უწყვეტობა ცოტა გამოსწორდა, მაგრამ არა ბოლომდე, რაზეც პრეტენზიას ნამდვილად გამოვხატავთ, თუმცა ჩვენი გულისტკივილი კიდევ სხვას შეეხება, ის, რომ ელექტროენერგიის ძაბვა, ერთ წუთში რამდენჯერმე იცვლება, ამაზე ელექტროდისტრიბუციისთვის არაერთხელ მიგვიმართავს და დაგვირეკავს კიდეც, მაგრამ ამაოდ. მთელი დღის განმავლობაში ელექტროგამანაწილებელი ისე წკაპუნობს და წვალობს, რომ ეს პირდაპირ ჩვენს ფსიქიკაზე მოქმედებს, ყველას ძვირადღირებული ტექნიკა გვაქვს ბინებში, მაცივარი, ტელევიზორი, სარეცხის მანქანა, უთო, ასეთი არათანაბარი დენი ძალიან ცუდად მოქმედებს ამ ყველაფერზე, სულ იმის შიშში ვართ, რომ გადაგვეწვება საოჯახო ნივთები და კვლავ ახლის ყიდვის ფაქტის წინაშე დავდგებით. თითოეული ცოტა თანხა ხომ არ ღირს?! ამდენის საშუალება კი, ნამდვილად აღარავის გაგვაჩნია, სხვაგან არ ვიცით, მაგრამ ჩვენს ქუჩაზე ნამდვილად გვაწუხებს ეს საკითხი, გთხოვთ ამ საკითხის შესახებ გაზეთში დაწეროთ და საკითხი გამოიკვლიოთ," -გვითხრეს 9 აპრილის ქუჩის მაცხოვრებლებმა.

აღნიშნულზე კახეთის ელექტროდისტრიბუციის დედოფლისწყაროს ფილიალის მენეჯერს ვანო გიგოლაშვილს მივმართეთ.

- ბატონო ვანო, მოსახლეობა, კერძოდ 9 აპრილის მაცხოვრებლები დენის არათანაბარ მიწოდებას აპროტესტებენ, რას გვეტყვით ამ საკითხზე?

- რაც ამ სამსახურში მოვედი, გამუდმებით ქუჩებზე ვმუშაობთ და სარემონტო სამუშაოებს ასრულებენ ჩვენი მონტიორები. ამჟამადაც აქტიურად ვმუშაობთ იმაზე, თუ სად, როგორ და რა შესაძლებლობებით მოვახერხოთ და შევცვალოთ ძველი, საბჭოთა დროინდელი ბოძები, ყველას შეცვლის შესაძლებლობა ამ ეტაპამდე ნამდვილად არ გამოინახა, არათანაბარ დენის მიწოდებასაც სწორედ ეს იწვევს. ჩემი მოსვლის დღიდან უამრავ უბანზე ისეთ სურათს წავაწყდით, რომ ელექტროსადენები არათუ ბოძებს, არამედ აკაციის ხეებს ეჭირა. ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა მოკლე ჩართვებს და არათანაბარი დენის საფუძველიც სწორედ ასეთი ძველი სისტემა გახლავთ. პატარა ნიავი, სადენების შეტოკება და მავთული მავთულს რომ ხვდება, უკვე დენის ხარისხის ცვლილებას იწვევს. ასეთია ჩვენი რეალობა, სისტემას დღითიდღე ვარემონტებთ, მაგრამ სრულ რეაბილიტაციას ჯერ მხოლოდ სოფელ სამრეკლოში მივაღწიეთ.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მთელი ეს სოფელი სამაგალითოდ გავაკეთეთ, ახლახანს დავამთავრეთ და მთლიანად ისეთ მყარ გაყვანილობაზე ზის სისტემა, რომ ქარიშხალსაც გაუძლებს, სწორედ ასეთი გაყვანილობა გვინდა მთელს რაიონში, მიმდინარეობს მუშაობა, რომ ქალაქ დედოფლისწყაროშიც სწორედ ასეთი ელექროგაყვანილობის სისტემა დავამონტაჟოთ.

- სწორედ ამაზე მინდა გკითხოთ,- დაახლოებით ერთი წლის წინ თქვენთან შემდგარ ინტერვიუში, სწორედ ამას აცხადებდით და გვპირდებოდით, რომ უახლოეს თვეებში, მთელი რაიონის ელექტროხაზები, სოფელ სამრეკლოს ერთ-ერთი უბნის მსგავსად, ხარისხიანი სადენებით შეიცვლებოდა, ამჯერად რა ეტაპზეა ეს საქმე?!

- ამჯერად ასეა, თუ მაშინ სამრეკლოს ერთი უბანი იყო ამ სისტემაზე, ახლა მთელ სოფელშია უკვე დამონტაჟებული. ქალაქ დედოფლისწყაროშიც ეტაპობრივად მიდიოდა სამუშაოები, რაიონის უამრავ ქუჩაზე ძველი ხის ბოძები ბეტონის ახალი ბოძებით შეიცვალა, დამერწმუნეთ, ეს იმდენად შრომატევადი საქმე გახლავთ, რომ რა თქმა უნდა, ასე მოკლე ხანში მოსაგვარებელი არაა, უბრალოდ, ვერ მოვასწრებდით, თანაც იმ პირობებში, რომ ყველა ორგანიზაციას უწვეტ ელექტრომომარაგებაზე ჰქონდა პრეტენზია. ამჟამად ცემენტის ბოძები ჩამოტანილია და მომარაგებულია სოფელი ოზაანი, არბოშიკი,ზემო მაჩხაანი და გამარჯვება, სადაც ელექტროგადამცემი ბოძების შესაცვლელად უკვე ყველა წინაპირობაა შექმნილი. ბოძები ერთ-ერთ კერძო საწყობშია მოთავსებული და მალე ამ სოფლებში კერძო კომპანიები დაიწყებენ სამუშაოებს, ისე, რომ დაზამთრებამდე ყველა ეს სამუშაო დასრულდება.

- რაც შეეხება ქალაქ დედოფლისწყაროს, აქ რა მოხდება? ბოძებს რაც შეეხება, ერეკლე მეორის ქუჩაზე არსებობს ბოძები, რომლებიც მთლიანად ძირგამომპალია. მოსახლეობა მსხვერპლს არ გამორიცხავს, ყოველ წუთასაა მოსალოდნელი, რომ ის სადენები ჩამოვარდეს და ვინმეს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას დაემუქროს.ისინი შველას ითხოვენ, ამასთან, იგივე ქუჩის მოსახლეობა რა ხანია გარე განათების სისტემის მოწყობის მოთხოვნით აწუხებს მუნიციპალიტეტის გამგეობას. ისინი თქვენს ადგილზე ჩასვლას და საკითხის ადგილზე გაცნობას მოითხოვენ.

- მე კარგად მაქვს შესწავლილი 9 აპრილიც და ერეკლე მეორის ქუჩაც, ვიცი, რა მდგომარეობაა იქ. ამჟამად ქალაქის თითოეული ქუჩის მონაცემები დათვლილია, ხარჯთაღრიცხვა შედგენილია და უკვე არა კახეთის ენერგოდისტრიბუციაში, არამედ პირდაპირ თბილისში, ენერგეტიკის სამინისტროში გვაქვს გაგზავნილი მოთხოვნა. მჯერა, დედოფლისწყაროში ელექტროგაყვანილობის საკითხი საბოლოოდ მოგვარდება, ასე რომ, გპირდებით, უახლოეს მომავალში გვექნება ისეთი მყარი და სტაბილური გაყვანილობა, რომელსაც ვერაფერი შეარყევს. რაც შეეხება გარეგანათებას, ეგ საკითხი ჩვენი სამსახურის პრეროგატივა არაა, ეს გამგეობის გადასაწყვეტია, რამდენადაც ვფლობ ინფორმაციას, გათვალისწინებულია, რომ სადაც ელექტროგადამცემი ბოძები ახლით შეიცვლება, მაშინვე მოხდება გარეგანათების დამონტაჟებაც იმ ქუჩებზე, სადაც არაა გარეგანათება.

- დენის ასეთი სწრაფი ცვლილება მოსახლეობას ეჭვს უჩენს, რომ მათი მეზობლები შემდუღებელ აპარატს ამუშავებენ, თუმცა შემდეგ ირკვევა, რომ ასეთი რამ არავის არ აქვს ჩართული. თუ მართლაც დაადგინეთ, რომ ე.წ. „სვარკა" აქვს ვინმეს ჩართული, რა ბერკეტს იყენებთ ამ დროს, შეგიძლიათ, აღკვეთოთ ასეთი ფაქტები?

- რა თქმა უნდა, შეგვიძლია, სწორედ ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, თუ ასეთ ფაქტს წავაწყდით, დავაჯარიმოთ ის პირი, ვინც უკანონოდ მოიხმარს დენს სხვა დანიშნულებისთვის. ახლა ასეთ რამეს უკვე ვეღარავინ გაბედავს, რომ სქელი კაბელი ჩამოჰკიდოს და ასე ხელაღებით „სვარკა" ჩართოს, რადგან 600 ლარიანი ჯარიმის გადახდა ნამდვილად არავის ესიამოვნება, მაგრამ გვქონია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დაგვიჯარიმებია კიდეც. თუმცა, აქვე მინდა დავძინო, თუ მოქალაქე იყენებს ჩვეულებრივად მაღაზიაში ნაყიდ ხელსაწყოს, რომელიც ჩვეულებრივ ოთახის დენის წყაროზე ერთდება და შედარებით სუსტ შესადუღებელ საშუალებად ითვლება, ამის აკრძალვის უფლება ჩვენ კანონით არ გვაქვს.

- იქნებ სწორედ ეს იწვევს დენის ასეთ უხარისხობას?

-არაა გამორიცხული, რომ ესეც იწვევდეს, მით უმეტეს თუ შემდუღებელი თვითნასწავლია და არ იცის, რომ მალე აიღოს ელექტროდი რკინიდან, თუმცა ამას ჩვენ ვერ ვკრძალავთ, რადგან ის ჩვეულებრივ დენის წყაროში ერთდება და მრიცხველი წერს გადასახადს. არის კიდევ ამ მოწყობილობებშიც განსხვავება, არსებობს თურქული მოწყობილობა, რომელიც უხარისხოა და ნამდვილად ელეტროენერგიის მიწოდებაში ხარვეზებს იწვევს და არსებობს რუსული, რომელიც ბევრად უკეთესი ხარისხისაა და უნაკლოდ მუშაობს, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ჩვენ კანონით ასეთი მოწყობილობის მოხმარების შემთხვევის დროს, აკრძალვის ან დაჯარიმების უფლება არ გვაქვს. ის კანონით დაშვებულია.

- ბოლოს მინდა გკითხოთ, მალე ზამთარი კარს მოგვადგება, ელექტროენერგიის მიწოდება გამოსწორდა, მაგრამ ხშირი გათიშვები კვლავ გვახსენებს თავს. როგორი იქნება ჩვენი რაიონისთვის ეს ზამთარი, რამდენად მზად ხართ ამ სეზონთან შესახვედრად და გვექნება თუ არა სტაბილური დენი?

- ზამთრამდე კიდევ ერთი პატარა ზაფხული წინ გველოდება, როდესაც კიდევ უამრავი სამუშაოს მოსწრებას ვგეგმავთ. ვაპირებთ კიდევ იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რომელიც ზამთრის გადატანას ვერ გაუმკლავდება. ამის მიუხედავად, რაიონის მოსახლეობას ვპირდები, რომ გავაკეთებთ მაქსიმუმს, კარგად გამოვიზამთრებთ და ელექტროენერგიის სტაბილურობის გარანტადაც დავდგები.

ლალი მეხრიშვილი

„დედოფლისწყაროს საათი“ 1 წლისაა

გასულ წელს, 25 აგვისტოს 17:30 საათზე „ობიექტივის“ არხზე თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათი“ დაიბადა. არცერთი გაცდენა, არცერთი ჩავარდნა, სტუმრის არცერთი დაგვიანება. ორ სატელევიზიო სეზონზე სულ 55 გადაცემა გავიდა, 100-ზე მეტმა სტუმარმა მიიღო მონაწილეობა. ფართო აუდიტორიის წინაშე დედოფლისწყაროს ყველა სფეროში საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება მიეცა.

ინტერვიუდან შეიტყობთ, როგორია ერთწლიანი მუშაობის დეტალები და რა სიახლეებია მოსალოდნელი.

ილია მარტყოფლიშვილი: „თავდაპირველად „ობიექტივში“ 2010-11 წლებში ვიყავი სტუმრის სტატუსით. რამდენიმე გადაცემაში დედოფლისწყაროსა და კახეთში მიმდინარე მოვლენებს განვიხილავდით. ირმა ინაშვილთან და ამ არხის რამდენიმე წარმომადგენელთან ურთიერთობა მანამდეც მქონდა, ერთ ერთ პროდიუსერთან ილია ჩაჩიბაიასთან ერთად სხვა გამოცემაში რამდენიმე წელი ვიმუშავე. მოკლედ, ამ არხის სარედაქციო დამოუკიდებლობა და ფორმატი ყოველთვის ძალიან მხიბლავდა. დიდი ხნის მანძილზე მინდოდა ამ პროექტის გაკეთება, მაგრამ თავდაპირველად ამ არხის გავრცელების არეალი საკმაოდ მწირი იყო, ყველანაირად ზღუდავდნენ. ჯერ როგორც რადიო ისე მაუწყებლობდა, ერთი წლის შემდეგ ინტერნეტ მაუწყებლობა დაემატა, მერე ვიზუალთან ერთად სტუდიაც გააფორმეს. ყოველ მისვლაზე სიახლე მხვდებოდა და წინ მიდიოდნენ. ბოლოს საკაბელო ტელევიზიებმაც ჩართეს და ასე იქცა რადიო „ობიექტივი“ ტელე-რადიო მაუწყებლად. თან, რადგან სტუდია თბილისში იყო, ვერ ვრისკავდი, საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა, ყოველკვირეულად სტუმრები ამხელა გზაზე უზრუნველყო. ერთია, ვინ შეძლებს კამერის წინ საუბარს და მეორე, ვინ მოახერხებს დედაქალაქში დათქმულ დროს ჩასვლას. ანუ, ჩვენ დამატებითი ბარიერებიც გვქონდა. შემდეგ უკვე „ობიექტივი“ მეცხრე არხის სიხშირეზე, მეტრულ არხზე დაჯდა, გადაცემების მიღება მთელი საქართველოს მასშტაბით ოთახის ანტენით გახდა შესაძლებელი. მათ შორის 2013 წლის მაისიდან გადამცემი დაიდგა დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძაზეც. ოთახის ანტენებით მაუწყებლობის გამო ისეთი შესაშური რეიტინგი ჰქონდა ტელევიზიას, უკვე სერიოზულად ვფიქრობდი, უფრო სწორად ვოცნებობდი საკუთარი გადაცემები ჰქონოდა დედოფლისწყაროს. მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ შედგებოდა, მაგრამ სურვილი დიდი იყო. ამავე პერიოდში „ობიექტივმა“ ბათუმის და ქუთაისის სტუდიები შექმნა და ერთსაათიანი გადაცემები ამ ქალაქებიდან ტრანსლირდებოდა. ვიდრე საკაბელო ქსელებში ჩაერთვებოდნენ და სატელიტზე გავიდოდნენ, მანამდე რეგიონული გადაცემების მომზადების აუცილებლობა არ იდგა, რადგან მხოლოდ თბილისში მაუწყებლობდა, ხოლო მას შემდეგ რაც მთელი საქართველო დაფარეს, დღის წესრიგში რეგიონული გადაცემების მომზადებაც დადგა და ამ დროს უკვე კონკრეტულ მონახაზზე დავიწყე მუშაობა. ირმა ინაშვილის დამსახურებით, რომელიც ამ არხის დამფუძნებელია, ჩემი დიდი ხნის ოცნება ასრულდა. გადაცემის სახელწოდება „დედოფლისწყაროს საათი“ სწორედ ირმას შერჩეულია და მთლიანად მისი დამსახურებაა ეს საოცარი საჩუქარი. მიხარია, რომ ამჯერად ირმა დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ დასახელდა. დღეს უკვე რეალობაა, რომ დედოფლისწყაროსა და მისი სოფლების მაცხოვრებლებს ყოველ კვირას, სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ რაიონის ამბების მიღება და ადგილობრივი სტუმრების მოსმენა.

– ფორმატი როგორ შეირჩა?

– ფორმატს რაც შეეხება, პროდიუსერებისგან ამგვარი მითითებაა, რომ გადაცემა სტუმართან დიალოგის რეჟიმში მიდიოდეს. არ იყო ვალდებულება ვიდეო სიუჟეტებიც ყოფილიყო. თუმცა, ჩემი მიდგომა თავიდანვე იყო, რომ აუცილებლად გვქონოდა ვიდეო რეპორტაჟები. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იმ მაყურებელსაც არ გადაერთო, ვისაც იმ დღის სტუმარი და კონკრეტული თემა არ აინტერესებდა. ანუ მრავალფეროვანი რომ ყოფილიყო და დღეში მხოლოდ ერთი თემა არ მოგვეცვა, უპრიანი იქნებოდა, მოკლე ვიდეო რეპორტაჟებიც გვქონოდა. ამიტომ, გადაცემა ორ ნაწილად დავყავი, პირველ ნაწილში საინფორმაციო ვიდეო კოლაჟი გადის, კვირის მიმდინარე მოვლენები. ანუ, მაგალითად, თუ სტუმარი სპორტის თემაზე გვყავს და რომელიმე მაყურებელს ეს თემა საერთოდ არ აინტერესებს, ვცდილობთ, არც ისინი დარჩნენ უკმაყოფილო და დასაწყისში სხვა თემებით მოვიზიდოთ. ამას გარდა, ყველა დამეთანხმება, რომ ვიდეო სიუჟეტებით გადაცემა ბევრად ეფექტურია, ვიდრე მხოლოდ სტუმართან საუბრით.

ვიდეო სიუჟეტების მომზადება სახუმარო საქმე არ არის, დამატებით ფინანსურ ხარჯებს და ტექნიკურ შესაძლებლობებს მოითხოვს. არც ვიდეოკამერა არ გვქონდა, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, რომ ყველა გადაცემაში ვიდეო რეპორტაჟებიც უნდა ყოფილიყო. ცარიელი ხელებით დავიწყე, თუმცა ყველა გადაცემაში გვქონდა რამდენიმე ვიდეო რეპორტაჟი. სიუჟეტებს კი ფოტოაპარატით ვიღებდი. მხოლოდ პირველი გადაცემის სიუჟეტების მომზადებაში დამეხმარნენ გია ყაჭაშვილი და ზურა ბუწაშვილი, მეორე გადაცემის ვიდეოები უკვე თავად დავამონტაჟე, ზურამ მასწავლა ეს პროგრამა. მონტაჟი უნივერსიტეტში ნასწავლი მქონდა, პროფესიით ტელე-რადიო ჟურნალისტი ვარ, მაგრამ მას შემდეგ აღარ გამომიყენებია და ყველაფრის ხელახლა სწავლა მომიხდა. თუმცა, ეს საქმე ისე მიყვარს და იმდენად ვვოცნებობდი ამ პროექტზე, რომ მალე ავითვისე და არც ღამეების თენება დამზარებია. უცნაურია მაგრამ, სიუჟეტებს თავად ვიღებ და თავად ვამონტაჟებ. მთლიანად საავტორო გადაცემა გამოდის...

– რა დოზით ერევა ტელევიზია გადაცემის მზადების დროს?

– ორი პროდიუსერი გვყავს, რომელიც მხოლოდ იმით ინტერესდებიან, რამდენი სტუმარი იქნება გადაცემაში და კიდევ რამდენიმე წვრილმანი ტექნიკური საკითხით. სტუმრების ოდენობაც სატელევიზიო ბადის შესადგენად არის საჭირო. ძალიან მიკვირს, მაგრამ სხვა შემთხვევებში მაუწყებელი საერთოდ არაფერში არ ერევა და აბსოლუტური დამოუკიდებლობა გვაქვს. სულ ტყუილად ამბობენ, რომ ქართულ ტელე სივრცეში საზოგადოებრივი მაუწყებელი არ არსებობს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „ობიექტივმა“ სრულიად ცარიელი ხელებით და მწირი ტექნიკური შესაძლებლობებით შექმნა ჭეშმარიტი საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმატი, რომელსაც საკმაო რეიტინგი აქვს. სხვა საკითხია ათობით მილიონს „პირველ არხს“ რომ ვუხდით და არც რეიტინგი აქვს, არც საინტერესო გადაცემები. „ობიექტივმა“ შეძლო ბევრად მეტი რეიტინგი მოეპოვებინა, ამაზე მოწმობს სხვადასხვა კვლევები და ზარების ის რეკორდული ოდენობა, რომელიც დღის განმავლობაში პირდაპირ ეთერში შემოდის. არცერთ ქართულ მაუწყებელს 24 საათიანი პირდაპირი ეთერი არ აქვს და აქ მთელი დღის მანძილზე მაყურებელს შეუძლია სხვადასხვა გადაცემაში ჩაერთოს. ახლახან გამოქვეყნდა „ენდიაის“ კვლევა, რის მიხედვითაც ქართულ მაუწყებლებს შორის „ობიექტივს“ გამოკითხულ ქართველ ტელემაყურებელთა 22%-ი უყურებს.

– დამოუკიდებლობის ხარისხი რამდენად მაღალია?

– ზოგადად ცნობილია, რომ „ობიექტივი“ სრული სარედაქციო დამოუკიდებლობით გამოირჩევა. მანამდეც მქონდა შეხება და ეჭვიც არ შემპარვია რომ ამგვარი თავისუფლება მექნებოდა. მაგრამ რაც რეალურად აღმოჩნდა, ამით მართლა გაოცებული ვარ და ამდენს არ ველოდი. მაინც მეგონა წინასწარ ვიდეო სიუჟეტებს მაინც შემიმოწმებდნენ... ჩემთვისაც წარმოუდგენელი თავისუფლებაა 10-12 სიუჟეტი საეთეროში ისე შევიტანო და ეთერში ისე გავიდეს, სრული თავისუფლება ჰქონდეს წამყვანს და ტექნიკურად მაინც არავინ გააკონტროლოს და რაიმე ჩართოების დაცვა არ მოგთხოვოს... ამიტომაც, არ მშურს არცერთი სხვა არხის.. ასეთი ფორმატი და ამგვარი თავისუფლების კუნძული საქართველოში არ მეგულება! დიდი მადლობა ირმა ინაშვილს, ენით ვერ აღვწერ რამხელა მადლობა.. კახეთის ყველა რაიონს აქვს საკუთარი ტელე ან რადიო არხი, დედოფლისწყაროს გარდა. ყველას ოცნება იყო ადგილობრივი გადაცემები... „ობიექტივმა“ ფაქტობრივად იმხელა რამ გვაჩუქა, დედოფლისწყაროელებისთვის ადგილობრივი ტელევიზიის გახსნის ტოლფასია...

კრიტიკას რაც შეეხება, რასაც ვთვლით, რომ საკრიტიკებელია, ვცდილობთ ხელისუფლებას მივუთითოთ, რაც კარგი ხდება ისიც ავსახოთ, პრობლემებზეც თამამად ვსაუბრობთ. ოპოზიციის აბსოლუტურად ყველა წარმომადგენელს ჰქონდა და აქვს საშუალება საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს, ასე რომ ეთერი ყველასთვის ღიაა. სტუდიაში სტუმრობაზე უარს არ გვეუბნებიან და აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

– სტუმრების პრობლემა თუ შექმნილა გადაცემაში?

– ყოველთვის მეგონა, რომ რესპონდენტების პრობლემა და დეფიციტი შემექმნებოდა. თავიდან სტუმრებს ენაწყლიანობის კუთხით ვარჩევდი და საგანგებოდ ვაკვირდებოდი, ვინ შეძლებდა პირდაპირ ეთერში თავისუფლად საუბარს. მეგონა ასეთი ადამიანების სიმცირის, ან მოუცლელობის გამო ერთიდაიმავე სტუმრის ბევრჯერ მიწვევის აუცილებლობის წინაშე დავდგებოდი, თუმცა ერთი წლის თავზე ჩემდა საამაყოდ მინდა ვთქვა, რომ მკაცრად დავიცავი პრინციპი და არცერთი სტუმარი ორჯერ არ გამიმეორებია. ტელევიზიისგან შეზღუდვა გვაქვს, რომ ერთი და იგივე პიროვნება ერთი თვის ინტერვალით არ უნდა იჯდეს სტუდიაში, თუმცა ორი გამონაკლისის გარდა არცერთი განმეორების შემთხვევა არ მქონია. ერთი დარღვევა ნინო ბახუტაშვილს ეხება, ის ორჯერ იჯდა სტუდიაში. თუმცა, მთლად დარღვევა არ გამოდის, რადგან, ორივე შემთხვევაში სხვადასხვა სტატუსით მივიწვიეთ. პირველად სტუმრად იყო როგორც კულტურის ცენტრის უფროსი, ხოლო მეორედ როგორც სახელოსნო „ფესვების“ წარმომადგენელი. მეორე კი გამგებლის შემთხვევაა, გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სამჯერ იჯდა სტუდიაში და ესეც გასაგები მიზეზების გამო. ორჯერ ახლადარჩეულის სტატუსით, ერთხელ კი როგორც კანდიდატი. ეს ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო და მართლა გაკვირვებული ვარ, რომ სტუმრების დეფიციტი არ შეგვქმნია. საბედნიეროდ, ისეთი აქტივობები იყო, სასაუბრო თემა და საინტერესო ადამიანები არ გამოგვლევია. ისიც მიხარია, რომ ერთი წლის მანძილზე არც სტუმარს „გადავუგდივართ“, არც დაუგვიანია და არანაირი შეფერხება არ გვქონია. არადა, გზა დიდია, ხშირად დიდთოვლობა, ან უამინდობა ფიქსირდებოდა. ყოველთვის განვიცდი, რომ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდეს. პირდაპირ ეთერს არაერთი ხარვეზი ახლავს და წინასწარ ვერ გათვლი რა შეიძლება მოხდეს.

– ანუ, გაუთვალისწინებელ შემთხვევებს და კურიოზულ სიტუაციებს ადგილი არ ჰქონია?

– ერთხელ მახსოვს, გადაცემის დაწყებამდე 30 წუთით ადრე მეტრო გაჩერდა, არადა იმ დღეს 5 სტუმარი უნდა მოსულიყო და ძალიან ვინერვიულე, შესაძლებელია, რომელიმე მათგანი მეტროთი მოდიოდეს და არ დააგვიანოს მეთქი. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. არცერთი გადაცემა არ გამიცდენია, თუ არ ჩავთვლით აღდგომის დღეს, როცა ტელევიზია მთლიანად სხვა ფორმატით მაუწყებლობდა, სხვა ყველა კვირა დღეს ეთერში ვიყავით. არადა, ვფიქრობდი, რომ ავადმყოფობის, ან სხვა მიზეზით შესაძლოა გაცდენებიც გვქონოდა და ასეთ დროს რომელიმე საუკეთესო გადაცემის ჩანაწერს გავამეორებდით. ამ ხნის მანძილზე ავადაც გავმხდარვარ, ზოგჯერ მაღალი სიცხე მქონდა, ზოგჯერ ხმა დავკარგე, ზოგჯერ საშინელი სურდო, მაგრამ ვერცერთხელ ვერ გავაცდინე. ორჯერ, თუ სამჯერ მაღალი სიცხით ვიჯექი ეთერში. კიდევ ერთ გარემოებას დავაკვირდი. რაც უნდა ცუდად ვიყო, ეთერი რომ იწყება, ყველაფერი მავიწყდება. ორჯერ მქონდა შემთხვევა, თავი საშინლად მტკიოდა, ტელევიზიაში შესვლამდე აფთიაქს ვეძებდი, რომ გამაყუჩებელი დამელია, მაგრამ დროში ვიწვებოდი და ვერ მოვახერხე ისე შევედი სტუდიაში. ვნერვიულობდი, ისეც მიჭირს და თავის ტკივილის ფონზე აზროვნებას და გაძღოლას რამდენად მოვახერხებდი, მაგრამ წამზომი ჩაირთო თუ არა, ქუდის გაშვებისთანავე ტკივილი მიყუჩდა... არ ვიცი, ეს დიდი პასუხისმგებლობის გამო იყო, თუ რა მოხდა, მაგრამ ფაქტია ასე მოხდა.

– რა იყო მოულოდნელი ამ პროექტის მიმდინარეობის დროს?

– პირველად მართლა ძალიან გამიკვირდა ის, რომ რიგით მეორე გადაცემაში სტუმრად ირაკლი შიოლაშვილი გვყავდა და თითქმის ყველა სოფლიდან დარეკეს. უნდა გამკვირვებოდა, რადგან ისევ საშვებულებო პერიოდი იყო, პროექტი ახალი დაწყებული და ასე მოკლე დროში ყველა სოფელი თუ გვიყურებდა ეს დიდი სიურპრიზი იყო. ძალიან ბევრი ზარი შემოვიდა და ძალიან კონკრეტული შეკითხვები ჰქონდათ. ერთი ზარი რომ სრულდებოდა უკვე მეორე შემოდიოდა და ძალიან სასიამოვნო იყო.

შემდეგ, ახალი გამგებელი რომ მოვიწვიე, გადაცემის დაწყებამდე მეუბნება, თუ ეთერში არავინ დარეკა, ალბათ ხალხს არ მოვეწონე და თუ ბევრი მსმენელი დარეკავს, ესეიგი კარგ შთაბეჭდილებას დავტოვებო. ამ შემთხვევაშიც იგივე განმეორდა, იმდენი ზარი შემოვიდა, აღარ გაჩერებულან, ყველა სოფლიდან 2-3 ზარი შემოდიოდა, კონკრეტულ საკითხებს სვამდნენ...

(დასასრული გვ: 6)

4 წლის ბავშვის მდგომარეობა კვლავ მძიმეა

გასულ კვირას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში არაბულების საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. „შირაქის“ ინფორმაციით დაშავებულია 4 წლის ბავშვი, რომელიც კატასტროფის ცენტრის ბრიგადამ თბილისში დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ქირურგის გია ბოსტოღანაშვილის განმარტებით ხანძრის შედეგად დამწვარი 3 წლის ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. დედოფლისწყაროს საავადმყოფოში პაციენტი დღის 14:37 წუთზე მოათავსეს.

„ავადმყოფს აქვს საკმაოდ დიდი ფართის დამწვრობა, 90%-ს აღწევს, რასაც უნივერსალური დამწვრობა ჰქვია. დამწვრობითი შოკი და სასუნთქი გზების დამწვრობა აღენიშნებოდა. დამწვრობის ხარისხის გამო საჭიროებდა დაუყოვნებლივ დედაქალაქში გადაყვანას. ამდენად, გამოვიძახეთ კატასტროფის მედიცინის ცენტრი და დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს და სპეციალიზებულ განყოფილებაში მოათავსეს. საჭიროებდა მართვად სუნთქვას, იყო თირკმლის უკმარისობის განვითარების საფრთხე. ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ჩემს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია. ამ სიმძიმის სულ ორი-სამი შემთხვევა მახსენდება. ზოგადად, ლიტერატურის მიხედვით სხეულის 40%-იანი დამწვრობა სასიკვდილოდ ითვლება. სამწუხაროდ, ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება,“ - აღნიშნა ბოსტოღანაშვილმა.

თვითმხილველების განმარტებით, სავარაუდოდ, სათივეში ცეცხლი ოთხი წლის ბავშვმა თავად გააჩინა. ხანძარი საცხოვრებელ სახლზეც გავრცელდა. ორივე კიდურის დამწვრობა სხეულის 20%-ზე აღენიშნება ბავშვის დედასაც.

„ვარაუდობენ, რომ ბავშვი საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე სათივეში იყო შემძვრალი და თამაშობდა. ხანძარი რომ გაჩნდა გამოძრომა ვეღარ მოახერხა და კიდურები და სახე დამწვარი აქვს... ცეცხლმა საცხოვრებელი სახლიც გაანადგურა. ჭერიც მთლიანად დაიწვა. ხელმოკლე ოჯახია, სოციალურად დაუცველები არიან“ — განუცხადა „შირაქს“ სოფელ გამარჯვებაში გამგებლის წარმომადგენელმა გიორგი ჭინჭარაულმა.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები. გერმანიიდან დაბრუნებისთანავე ხანძრით დაზარალებულ ოჯახს დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ესტუმრნენ. ისინი 4 წლის ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდნენ.

მედიკოსების განმარტებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება და გადარჩენის შანსი მცირეა. კრიზისი ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. პაციენტმა რამდენჯერმე საკვებიც მიიღო.

„ამ კლინიკაში ბავშვი ერთი წლის წინაც იწვა. მაშინ ცხელი წყალი გადაისხა. ზოგადად ცელქი ბავშვია. კლინიკაში თანხა არ გვეხარჯება, მაგრამ მაცივარი არ აქვთ და ყოველ ორ დღეში თბილისში მივდივარ, რომ საკვები ჩავუტანოთ.. ხელმოკლე ოჯახი მაქვს, სოციალური დახმარებაც შეგვიწყვიტეს და 500 ლარზე მეტი ვალი დამედო, სიარულის ხარჯებიც არ გვაქვს. იქნებ რამენაირად დაგვეხმაროთ. მეუღლესაც კიდურების დამწვრობა აქვს. ექიმებმა შეგვიყვანეს და გვითხრეს, ყველა ღონეს ვხმარობთ რომ გადარჩეს, მაგრამ ეს უკვე ღმერთის ნებააო. თვალებიც დამწვარი აქვს, სახე მთლიანად და შესაძლოა, მხედველობის პრობლემაც დარჩეს,“ — ამბობს ბავშვის მამა კობა არაბული.

დედოფლისწყაროს გამგებელი ოჯახს საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციაში დახმარებას დაპირდა და აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ოჯახი გამგეობას დაუკავშირდეს, ადგილობრივი ხელისუფლება კი მაქსიმალურად გვერდში დაუდგება.

„ჩემთვის ცნობილია, რომ არაბულებს საარსებო შემწეობაც რამდენიმე თვის წინ შეუწყვიტეს. ვცდილობთ დახმარება აღმოვუჩინოთ, მეც და კახეთის გუბერნატორიც ბავშვის მდგომარეობას პერიოდულად ვკითხულობთ. როგორც კლინიკიდან დოკუმენტაციას ჩამოიტანენ, მაშინვე სოციალურ სააგენტოს მივმართავთ რეკომენდციით, რომ ხელახლა შემოწმდეს ოჯახი და ყველანაირი შეღავათით სარგებლობა შეძლონ,“ — აცხადებს გამგებელი.

„შირაქის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, დაზარალებულ არაბულების ოჯახს სოციალური მომსახურების სააგენტომ საარსებო შემწეობა ორი თვის წინ შეუწყვიტა.

ილია მარტყოფლიშვილი

„დედოფლისწყაროს საათი“ 1 წლისაა

(დასაწყისი - გვ: 5)

გახარებული წავიდა, რამდენი გიყურებთო, ამხელა რეიტინგი გაქვთო?... ყველაზე მეტად ის გაგვიკვირდა, რომ სხვა ქალაქებიდანაც შემოდიოდა ზარები და გამგებელს გაუკვირდა, სხვა რაიონებშიც ბევრი რომ გვიყურებდა.

– ყველაზე გამორჩეული გადაცემა თუ შეგიძლია გაიხსენო?

– როგორც შვილებზე ამბობენ ვერ გამოარჩევ, რადგან ყველა მათგანი ჩვენი შრომის ნაყოფია, მაგრამ გადაცემის შინაარსის ხარისხი ხშირად ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ზოგჯერ ისე ხდება რომ ძალიან საინტერესო და კარგი ამბებია და შესაბამისად გადაცემაც კარგი გამოდის, ზოგჯერ ისეთი არაფერი ხდება და გადაცემაც მეტნაკლებად საინტერესოა. ხშირად მეც არ მომწონს გადაცემები, მაგრამ მთავარია გადაცემა არსებობს, ყველაფერი დაიხვეწება. რამდენიმე გადაცემის გამორჩევა შეიძლება. მაგალითად, თამაზ ყარაგვეზაშვილი გვყავდა სტუდიაში და ირაკლი ღარიბაშვილის სპორტული წარსულის გაუხმაურებელი დეტალები გაიხსენა, თან ზუსტად იმ დროს, როცა ბიძინა ივანიშვილმა პირველად თქვა კიკბოქსინგელი იყოო, მანამდე ამის შესახებ არავინ იცოდა. ისე საინტერესოდ დაემთხვა ეს გადაცემა, რომ შემდეგ თბილისში მოქმედმა ათზე მეტმა მედიამ ამ გადაცემაზე დაყრდნობით პრემიერის სპორტული წარსულის დეტალები გაავრცელეს და თამაზ ყარაგვეზაშვილის კომენტარი გამოიყენეს. სასიამოვნოა, როცა რეგიონული გადაცემა ახერხებს ცენტრალური მედიის დაინტერესებას. ასევე საინტერესო გადაცემა იყო ხათუნა ზურიკაშვილის სტუმრობა, მოგეხსენებათ, კომპანია „ადითის“ პრობლემა რვა ქალაქს აწუხებდა და გააზრებული გვქონდა, რომ გადაცემა დედოფლისწყაროს გარდა კიდევ სხვა ქალაქებსაც ეხებოდა. ისე, რადგან მაუწყებლობა სხვა ქალაქებშიც ვრცელდება, ამის გამო ყოველთვის ვცდილობ, გადაცემა სხვა ქალაქებში მყოფთათვისაც საინტერესო იყოს და არც მათ გადართონ სხვა არხზე. რეგიონული გადაცემა კი არის, მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ცენტრალურ არხზე გადის. ყველაზე შორეულ სოფელშიც კი, რომ მგონია აზრზე არ არიან, უცებ სასიამოვნოდ გამაოცებენ ხოლმე. ამდენი უყურებს! მაყურებლის მოფერება სულ გვავიწყებს, რომ ცარიელი ხელებით ვაკეთებთ ამხელა საქმეს... აკვიატებად მექცა, ხშირად მქონდეს გადართული „ობიექტივზე“, თუნდაც არ ვუსმენდე მაინც...

– რა სიახლეები იგეგმება ახალი სეზონიდან?

– ჩვენი გადაცემა ორი კვირა, ისვენებდა, წინა სეზონი კი შემაჯამებელი გადაცემით დავხურეთ, სადაც ჩემივე გადაცემაში სტუმრის სტატუსით ვიმყოფებოდი და გასული წელი შევაჯამეთ. ახალი სეზონი 21 სექტემბრიდან დაიწყება. ვგეგმავთ ბევრი ახალი დეტალი დაემატოს გადაცემას. ტელევიზიის რეკომენდაცია არის, რომ გაცილებით მეტი საინტერესო ადამიანის წარმოჩენა შევძლოთ. ამას აქამდეც ვგეგმავდით, მაგრამ არჩევნების გამო ნაკლებად ვახერხებდით. ნელი გობეჯიშვილს ექნება ახალი, რამდენიმე წუთიანი რუბრიკა, სადაც ღვაწლმოსილ საინტერესო დედოფლისწყაროელებს შეხვდებით. ისეთ მივიწყებულ ადამიანებს ვეწვევით, რომლებიც დიდი ხანია არსად ჩანან. ასევე ძალიან მინდა გადაცემის მსვლელობისას დედოფლისწყაროდან პირდაპირი ჩართვები გახშირდეს, რომ უფრო დინამიური გახდეს. ასევე, ახალი სეზონიდან დაგვემატება კიდევ ერთი გადაცემა „კახეთის საათი“. ჯერ ზუსტი დრო არ შერჩეულა, თუმცა ამ გადაცემებში კახეთის სხვა რაიონებზეც ვისაუბრებთ და ამ გადაცემასაც მე გავუძღვები. მაყურებელი ზარებით სულ გვსაყვედურობდა, რომ კახეთის სხვა რაიონებს არ ვეხებოდით და კარგია, რომ ტელევიზია ამის საშუალებას მოგვცემს.

ერთი კვირაა „ობიექტივი“ თბილისის ანძიდან დეციმეტრულ სიხშირეზე ისევ ჩაირთო და ოთახის ანტენითაც გვიყურებენ, რაც არეალს ბევრად გაზრდის. ხელმძღვანელობა ამბობს, რომ რეგიონებშიც მალე აღდგება. მანამდე გადაცემების ვიდეო ჩანაწერები დევს ქიზიყი.ჯი-ს და ასევე, „ობიექტივის“ საიტებზე. გადახვევის რეჟიმში შეგიძლიათ გვიყუროთ **myvideo.ge**-ზე. ასევე „მაგთისატის“ და სხვა სატელიტური თეფშების, თუ საკაბელო ქსელების მეშვეობით.

21 სექტემბერი-ღვთისმშობლის შობის დღე

უფალმა, ადამის მოდგმა რომ ეხსნა, კაცობრივი ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი გამოირჩია.

ძველი აღთქმის წიგნებში ბევრგან გვხვდება წინასწარმეტყველება ღვთისმშობლის შესახებ. ეზეკიელ წინასწარმეტყველს იგი დახშულ ბჭედ ეჩვენა: „რომელი არავინ განვლო, გარნა ღმერთმან და დახშული ჰგიეს ბჭეი იგი“ (ეზ. 44:2); დანიელ წინასწარმეტყველი ამბობდა: „მთისაგან ლოდი თვინიერ ხელისაგან კაცისა გამოკუეთილი“ (დან. 2:34), რაც იესო ქრისტეს უმამაკაცოდ შობას გულისხმობდა, ხოლო ესაია ღაღადებდა: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე “ (ესაია 7:14).

მოსემ ღვთისმშობელი შეუწველ მაყვლოვნად იხილა სინას მთაზე, გედეონმა - საწმისად, დავითმა - ტარიგად, ოსე წინასწარმეტყველმა უხრწნელ ქალწულად ჰქადაგა, ეზეკიელმა - სიწმინდის ბჭედ, დანიელმა - შეურყეველ მთად, ესაიამ - იესეს ძირად.

ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“ (აპოკრიფი ბერძნული სიტყვაა და „დაფარულს“ ნიშნავს. მოგვიანებით ეს სახელი ეწოდა არაკანონიკურ წიგნებს, თუმცა ზოგიერთ აპოკრიფულ თხზულებას წმინდა ეკლესია იწყნარებს, თუკი მათი თხრობა არ ეწინააღმდეგება ეკლესიის სწავლებას), რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

ყოვლადწმიდა ქალწული გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მისი მამა, მართალი იოაკიმე, დავით მეფის ტომიდან იყო, ხოლო დედა, მართალი ანა, პირველი მღვდელმთავრის აარონის შთამომავალი გახლდათ. ღვთისმოშიშ ცოლ-ქმარს შვილი არ ეძლეოდა. ასე მიაღწიეს მათ ხანდაზმულობამდე, მაგრამ იმედი არ დაუკარგავთ, რომ ღმერთი, რომლისთვისაც არაფერია შეუძლებელი, შვილს მომადლებდა მათ. იოაკიმემ და ანამ აღთქმა დადეს, რომ ახალშობილს ტაძარში მსახურებისათვის უფალს მიუძღვნიდნენ. ებრაელები უშვილობას ღვთის სასჯელად მიიჩნევდნენ, ამიტომ იოაკიმე და ანა თანამემამულეთაგან მრავალ უსამართლო ყვედრებას ისმენდნენ. ერთ-ერთ დღესასწაულზე მართალ იოაკიმეს იერუსალიმის ტაძარში უფლისათვის მსხვერპლის შეწირვა სურდა, მაგრამ მღვდელმთავარმა უარი უთხრა.

მოხუცი ღრმა მწუხარებით აივსო, უდაბნოს მიაშურა და ორმოცი დღე მარხვასა და ლოცვაში გაატარა.

უფალმა შეისმინა ცოლ-ქმრის ვერდება. მთვარანგელოზმა გაბრიელმა ანას აცნობა, რომ იგი მალე დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი განდიდდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად მაშინვე აღთქმა დადო, რომ ბავშვს უფალს შესწირავდა. ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე მემკვიდრე შეეძინებოდა.

გავიდა ხანი და ანამაც იმშობიარა. მას ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც მარიამი უწოდეს.

მარიამი ერთი წლისა რომ გახდა, იოაკიმემ დიდი ლხინი გადაიხადა და მღვდელმთავრები, მღვდლები, მწიგნობრები და პატივსაცემი მოხუცები მიიწვია. მღვდელმთავრებმა და მღვდლებმა ჩვილი დალოცეს და

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღლესი დასის ანგელოზებზე მაღლა დგას. ვირთა, ქრისტიანთა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ღვთისმშობელმა თავისი სიწმინდითა და სათნოებით არა მხოლოდ ყველა მოკვდავს, ყველა ანგელოზსაც გარდაამეტა, ღვთის ცოცხალ ტაძრად იქცა, როგორც მას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია უგალობს, გახდა „ზეციური ბჭე, რომლითაც ქრისტე ამქვეყნად მოვიდა ჩვენს სულთა სახსნელად“.

როგორც მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელშია, „უპატიოსნესი ქერუბიმთა და აღმატებით უზესთაესი სერაფიმთა“.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყველას შემწე და მეოხია, მაგრამ საქართველოსა და ქართველებს იგი განსაკუთრებით მფარველობს. ეს იმიტომ, რომ საღვთო გადმოცემის თანახმად, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია. როცა მოციქულები წილს ყრიდნენ, ვის რომელ მხარეში ექადაგა ქრისტეს რჯული, ღვთისმშობელს საქართველო ხვდა წილად, მაგრამ დედაღვთისას უფალი გამოეცხადა და აუწყა, არ დაეტოვებინა იერუსალიმი, ვინაიდან მოახლოებული იყო მისი მიძინება, და ისიც აღუთქვა, რომ მისი წილხვედრი მიწა მომავალში გაბრწყინდებოდა. ასე რომ, ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში ანდრია პირველწოდებული გამოგზავნეს.

საქართველო რომ ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ეს ღვთის დიდი წყალობაა, მაგრამ ამავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობაც. წყალობას, მადლიერების გარდა, ღირსეულად მიღებაც სჭირდება, რადგან წყალობა მხოლოდ მაშინაა ჯილდო, როცა ერთგულად მსახურებ უფალს; თუ უღირსად ექცევი ბოძებულ მადლს, იგი სასჯელად იქცევა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას მართლმადიდებელი ეკლესია 21 (ძვ. სტ. 8) სექტემბერს დღესასწაულობს. ამ დღეს ტაძრებში საგანგებო საგალობლებს აღავლენენ - ადიდებენ ყოვლადწმიდა ქალწულს, ვითარცა კიბეს, რომელმაც ცა და დედამიწა შეაერთა, როცა ხორციელად შვა უფალი, და ვითარცა „მაყვალს შეუწველს“, რადგან დაიტია ღმერთი და არ დაიწვა.

ვალიკო ჯინაშვილი

ვალიკო, 27 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, გილოცავთ იმ მწარე დაბადების დღეს, რომელმაც შენი თავი წაგვართვა და ცრემლით სავსე ტკივილიანი დღეები დაგვიტოვა. ეს პირველი წელია, როდესაც უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს. როგორ გიყვარდა შენი დაბადების დღე, როგორ გიხაროდა, მაგრამ ასეთი ყოფილა შენი განგება. წელს პირველად გილოცავს დაბადების დღეს შენი სანატრელი შვილიშვილი, ვანიკო.

შენ ჩვენთვის დიდი იმედი და დასაყრდენი ძალა იყავი, მაგრამ მძიმე ავადმყოფობამ გამოგვაცალა ხელიდან შენი თავი. წახვედი და შენს შვილს რაჟდენის (რაჯის) დაუტოვე ყველა ის საზრუნავი და საფიქრალი, რომელიც შენს ძლიერ მხრებს ეჭირა, როგორც შენობის საძირკველის ძლიერ ბურჯს. წახვედი და თან წაიღე ჩვენი სიხარული იმედი და სიამაყე, მაგრამ გჯეროდეს, რომ შენ ისეთივე მზრუნველ მამად დარჩები შენი შვილების გულებში, როგორიც იყავი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

ვალიკო, მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამქვეყნად. მიდის დღეები და უფრო მეტად გვშორდები, უფრო მეტად გვიჭირს უშენობა, მაგრამ ჩვენ რა შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ დავანთოთ სანთლები და დაგილოცოთ გზა, ის გზა, რომელსაც მარადიულ სასუფეველში მიმავალი გზა ჰქვია. იყავი ნათელში, ღმერთი გფარავდეს.

შენი ოჯახი.

მამუკა ჯანიაშვილი



ხუთი წელი გავა 23 სექტემბერს შენი საუფლოში გადასვლიდან. უფალმა მხოლოდ 40 წელი გაიმეტა შენთვის სააქაოდ ყოფნისთვის და მერე თავისთან გიხმო.

გაუსაძლისია შვილო უშენობა, ჩვენი გულების ჭრილობები ისევ ღიაა. ვინმე თუ მახლობელს გამოიტირებს, დედმამისათვის ეს არ არსებობს, შენ ჩვენთვის მოურჩენელი იარა ხარ. ოღონდ ეგაა, რომ შენი საყვარელი ცოლშვილი, შენი პაატა, შენი დაიკო ხათუნა თავის ქმარ-შვილით დაგვრჩა საიმედოდ და გულის მოსაოხებლად.

მოვდივარ შენს საფლავთან და შევცქერით შენს ნაღვლიან თვალებს და გულები გვეფლითება, რომ შენ მანდ რჩები და ჩვენ სახლში ვბრუნდებით. გვაპატიე შვილო, ეს ბედის უკუღმართობაა.

ჩვენი დანთებული სანთლები გინათებდეს გზას უფლისაკენ. გვიხმე ჩვენც, უშენობას ვეღარ ვუძლებთ. უფალთან იყოს შენი უმანკო სული.

შენი გამწარებული მშობლები: ნანა და სეირანი.

შორენა მამულაშვილი, ელზა და ელგა ხარაშვილები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ნანა ლეკაშვილს შვილის

მერაბ ჩართოლანის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნუნუ და სერგო ქართველიშვილებს დედის

ელენეს

გარდაცვალების გამო.

მძიმეწონიანი ტრანსპორტი პრობლემებს გვიმატებს

სურათები, რომელსაც თქვენ ხედავთ, ალადაშვილის ქუჩაზეა გადაღებული, სულ რაღაც 100-150 მეტრში სამი თავღია ჭაა, რომელიც საფრთხეს უქმნის აქ მოძრავ ტრანსპორტს და ფეხით მოსიარულეებს. პირველი ორი ჭა ერთმანეთისგან ორიოდე მეტრითაა დაშორებული და ზედ ალადაშვილის ქუჩიდან პრესის ქუჩის შესახვევში მდებარეობს. მათგან მხარის აქცევა საკმაოდ რთულია. ამდენად, თუ მათი მდებარეობა შენთვის ნაცნობი არ არის, ადვილი შესაძლებელია, შიგ ჩავარდე. ისინი ერთნაირად საშიშია როგორც მანქანით, ასევე ფეხით მოსიარულეთათვის. არადა, ამ ჭების შესახებ სულ რაღაც ერთი წლის წინათ ვნერდი. გაზეთის გამოსვლიდან ორიოდ დღეში ქალაქის რწმუნებულმა ბესიკ ცისკარაულმა საკუთარ თავზე აიღო და ჭებს სახურავი მოარგეს. ახლო-მახლო მცხოვრებლებმა ამისათვის მრავალგზის მადლობა გადაიხადეს. დავისვენოთო, ამბობდნენ. ამ ერთი თვის წინ კი ვნახე, ჭა ისევ თავსახურის გარეშე იყო და შიგ ჯოხი იყო ჩაყუდებული. რა მოხდა-მეთქი, ვიკითხე.

- მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქუჩაზე მძიმეწონიანი მანქანების სიარული აკრძალულია, ნიშანს ვინ დაგიდევს, „ღრავით“ და სხვა სამშენებლო მასალით დატვირთული მანქანები ისე დაქრიან, არც არაფერს უყურებენ, არც არაფერს უფრთხილდებიან. დიდმა მანქანამ ჩაამტვრია ღამით, ხმაური კი გავიგონეთ, მაგრამ ვერ მივხვდით, რა მოხდა. დილით ვნახეთ, რომ ჭის დამტვრეული თავსახურავი, შიგ იყო ჩაცვივნილი. ამოვასუფთავეთ და ნიშანიც ჩავდეთ რაც შეგვეძლო, მაგრამ ღამე არაფერი ჩანს. ამ ორ-სამ კვირაში უკვე რამდენიმე პატარა მანქანა ჩავარდა. ძალიან ცუდ ადგილზეა, თან შესახვევია, თან დაღმართი იწყება და მძღოლებს უჭირთ დანახვა. ჩვენც სულ შიშში ვართ, ჩვენც ხომ გვყავს მანქანები, ჩვენი ქმარ-შვილიც ხომ ამ გზით დადიან და ხიფათი მათაც ელოდებათ. ერთ ჭას რომ დასცილდები, შეიძლება მეორეში ჩავარდე, ისე ახლო-ახლოა ერთმანეთთან. საინტერესოა, ვინ უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ ამ მძიმეწონიანმა მანქანებმა აქეთ აღარ იარონ?! - ჩივიან პრესის და ალადაშვილის ქუჩის მაცხოვრებლები.

ანალოგიური კითხვით ჩვენ საპატრულო პოლიციას მივმართეთ. მათ განმარტეს, რომ ალადაშვილის ქუჩაზე მძიმეწონიან მანქანებს სიარულის უფლება არ აქვთ და თუ ისინი ასეთ შემთხვევას დააფიქსირებენ, „საგზაო ნიშნის დაუმორჩილებლობისთვის“ მძღოლს კანონმდებლობის შესაბამისად 50 ლარით დააჯარიმებენ. ეს ისე, ცნობისათვის, თორემ არც დაჯარიმებული უნახავს ვინმეს და არც უკან გაბრუნებული. ისინი, არა მარტო ალადაშვილის ქუჩაზე, არამედ მთელ ქალაქში სხვა ქუჩებზეც, სადაც მათი მოძრაობა შეზღუდულია, თავისუფლად დადიან. ეს ერთი შეხედვით თითქოს ბევრი არაფერია, ზოგიერთი იტყვის, ნეტავ მაგის მეტი პრობლემა არაფერიაო. ახლა იმ ცხვირპირჩალეწილ ადამიანებს ჰკითხონ, ვისაც ამ ჭაში ფეხი დაუცდა, ან იმ მძღოლის ზარალი დაითვალონ, რომელსაც ჭაში მანქანა ჩაუვარდა, ან იქ მცხოვრებლებს ჰკითხონ, როგორია, შუაღამისას ვიღაც შენს კარზე რომ აბრახუნებს და გეძახის, შენს გახარებას, გამომხედე, მომეხმარე, მანქანა ჭაში ჩამივარდაო და ლოგინიდან წამოხტომას „გაიძულებს“.

რა ვთქვა, უწესრიგო ხალხი ვართ, არ გვიყვარს კანონმორჩილება, მაგრამ... ხომ მივეჩვიეთ ღვედის გადაჭერას?! ჯარიმის გვეშინია ხომ?! თუ ისეთივე სიმკაცრით მოითხოვს საპატრულო პოლიცია წესრიგს, როგორც სიმთვრალეზე, როგორც ღვედის გადაჭერაზე და სხვებზე, აქაც დამყარდება წესრიგი და იმ უამრავ პრობლემათაგან, რომელიც ასე თავზე საყრელად გვაქვს, ერთი მაინც მოგვარდება.

ბოლოს კი, ვკადნიერდებით და ქალაქის მესვეურთ ვთხოვთ, იქნებ ერთხელ კიდევ გამონახონ საშუალება და მიხედონ ამ თავღია ჭებს.

ნარა გორაშვილი

ულოცავენ!

თეა და ზაზა ქავთარაძეებს

გილოცავთ შვილების ლიკა ქავთარაძისა და ვალერი გენაშვილის ბედნიერებას, ახლადშეუღლებულებს კი ვუსურვებთ, ეს სიყვარული, რომელიც დღეს აკავშირებთ, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყოლოდეთ და ოჯახის უღელი ღირსეულად და ამაყად ეტარებინოთ.

სიყვარულით,
კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს ფილიალის თანამშრომლები

ირინა გორაშვილს!
ზოთიკო ყავლაშვილს!

გილოცავთ ქორწინებას, გისურვებთ ბედნიერი, სიყვარულით სავსე ოჯახის შექმნას. გაიხარეთ, გამრავლდით და თეთრად შეაბერდით ერთმანეთს.თქვენი წარმატებებით გაახარეთ ყველა თქვენი ახლობლის გული, მათ შორის -ჩვენიც. გვიყვარხართ, გკოცნით და გეფერებით.

ბიძა ომარი, **ბიძაშვილები:** გიორგი და მარიამ ალადაშვილები,
ბიცოლა ნელი სულაშვილი, **რძალი** თამუნა მაისურაძე

ლელა ბილიაშვილს!
ანატოლი ლატარიას!

გილოცავთ შვილების დათო ლატარიას და თიკო ნიკურაძის ქორწინებას. ახალგაზრდა ოჯახს ულევ სიხარულს, სიყვარულს, გამრავლებას და წარმატებებს ვუსურვებთ. ღირსეულად ეტარებინოთ მეუღლეობის არცთუ იოლად სატარებელი უღელი. გაიხარეთ თქვენი შვილების ბედნიერებით. პაპა-ბებიობის სიტკბო დაგებედოთ.

სიყვარულით,
მამიდა ნათელა გილიაშვილი ოჯახით

მედიკო კვარაცხელიას!

ქალბატონო მედიკო, გულწრფელად ვუერთდებით თქვენი ოჯახის დიდ სიხარულს და გილოცავთ პირველი შვილიშვილის ქართლოს გიკაშვილის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტზე ჩარიცხვას და 100-პროცენტიანი სახელმწიფო გრანტის მოპოვებას. მოხიბლულები ვართ მისი მრავალმხრივი ნიჭიერებით, ჯერ კიდევ კავკასიის სახლში მოწყობილი მისი პერსონალური გამოფენით, ვუსურვებთ წარმატებებს ხელოვნებასა და მეცნიერებაში, ვამაყობთ მისი შემოქმედებითი მიღწევებით.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის სახელით: ხათუნა აგლაძე, ნარა გორაშვილი, ვანო ნატროშვილი, მარინე ღვინიაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, მარინა ხარაშვილი, რეგინა ჯანიაშვილი და სხვები.

ქართული ანბანი ხუთ ყველაზე ლამაზ დამწერლობას შორის მოხვდა

ქართული ანბანი მსოფლიოს ხუთ ულამაზეს დამწერლობას შორის დასახელდა. მსოფლიოს ყველაზე ლამაზი დამწერლობების სია ვებგვერდმა **„matadornetwork.com“** გამოაქვეყნა. ხუთეულში ქართული ანბანი მესამე ადგილს იკავებს.

მსოფლიოს ყველაზე ლამაზი დამწერლობების ხუთეული ასე გამოიყურება:

1. ბირმული (მიანმა); 2. სინგალური (შრი-ლანკა); 3. ქართული (საქართველო); 4. ტაგალური (ფილიპინები); 5. ჰანაკარაკა (ინდონეზია).

სტატიაში საქართველოს და ქართული ენის შესახებაც არის ინფორმაცია. აღნიშნულია, რომ ქართული დამწერლობა ძალიან მოხდენილია.

„საქართველოს აქვს საკუთარი ენა და დამწერლობა. ბოლო საუკუნეში, რუსეთის პოლიტიკის შედეგად მოხდა საქართველოს ტერიტორიების ნახევარზე მეტის ანექსია. გარდა ამისა, ამ პატარა ქვეყანაზე გრძელდება ზეწოლა ტერიტორიების დათმობის მიზნით. რის გამოც სავარაუდოა, რომ უფრო და უფრო ნაკლები ადამიანი ისაუბრებს და დაწერს ქართულად. რუსეთის სურვილი, გააკონტროლოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენები, აგრეთვე უქმნის საშიშროებას ადგილობრივების კულტურულ დამოუკიდებლობას. ქართული ანბანი ძალიან ელეგანტურია. გამოირჩევა ბავშვური სიმარტივით, რომელიც მომრგვალებულ ფორმებშია გამოხატული“, - აღნიშნულია **„matadornetwork.com“**-ის ინფორმაციაში.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ქალაქ დედოფლისწყაროში 1 ოქტომბრიდან იხსნება საბუღალტრო და საგადასახადო საკითხების შემსწავლელი 3-თვიანი კურსები. შესწავლილი იქნება საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობა, საბუღალტრო საქმიანობის წარმოება.

გაიცემა სერთიფიკატი.

წარჩინებულ მოსწავლეებს გაეწევა დახმარება დასაქმებაში.

კურსები ფასიანია.

მსურველთა მიღება შეზღუდულია. მიიღებიან როგორც უფროსი ასაკის ისე მე-12 კლასის მოსწავლეები.

დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდნენ შემდეგ ტელეფონზე: 591 224 495 გენადი, 593 281 146 ნინო.

მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, კოსტავას ქუჩა (გამგეობის შენობა), პირველი სართული, ოთახი N4.

შპს „ლაშარი+“ -ის დირექცია

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 22.09		სამშაბათი 23.09		ოთხშაბათი 24.09		ხუთშაბათი 25.09		პარასკევი 26.09		შაბათი 27.09		კვირა 28.09	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
20 °	16 °	23 °	19 °	25 °	12 °	19 °	13 °	20 °	14 °	22 °	16 °	24 °	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფირომანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K